KA030134238528119

№ 01-8333 **15 / აგვისტო / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 იანვრის N01-1/ნ ბრძანების თანახმად, 2019 წლის 1 სექტემბრიდან ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებელი ყველა ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადასცეს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში.

ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში მონაცემების გადაცემა სამედიცინო დაწესებულებებისთვის კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად, რადგან აღნიშნული უკავშირდება როგორც სათანადო ინფრასტრუქტურას (მ.შ., კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი), ასევე, ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში ჩართული პერსონალის უნარ-ჩვევების გაძლიერებას სისტემის მოხმარების მიმართულებით.

ხსენებული განსაკუთრებით პრობლემურია ამბულატორიული სერვისების მიმწოდებელთა შემთხვევაში, რადგან მაღალი რისკის ამბულატორიულ სერვისს აწვდის 2500-ზე მეტი ამბულატორია (ზოგადად კი, ამბულატორიული სერვისების მიმწოდებელთა რაოდენობა გაცილებით მეტია), ხოლო სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობს 1297 სუბიექტი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პჯდ სტრატეგია, ინდიკატორების ნაკრები და საინფორმაციო ტექნოლოგიები ეტაპობრივად ვითარდება. ამავდროულად, სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ახორციელებენ კონსულტაციებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასა და აივ/შიდსის, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალურ ფონდთან პჯდ-ში რაიონული ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის დანერგვის თაობაზე. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მართებულად მიგვაჩნია, ამბულატორიული სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში მონაცემების გადაცემა 2019 წლის 1 სექტემბრიდან განხორციელდეს საპილოტე რეჟიმში. ამასთან, საპილოტე რეჟიმის ხანგრძლივობა ამბულატორიული სამედიცინო (მ.შ., პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელი) დაწესებულებების შემთხვევაში განისაზღვროს 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე, ხოლო სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ექიმებისთვის კი, რომელთა ჩართვა ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში ინფრასტრუქტურის, აღჭურვისა და სათანდო ტრენინგის უზრუნველყოფის შესაბამისად განხორციელდება ეტაპობრივად, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 1 ივლისამდე.

ამავდროულად, ამბულატორიული შემთხვევების რაოდენობისა და სიხშირის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამბულატორიულ დაწესებულებებს ჰქონდეთ უფლება, ამბულატორიული შემთხვევის (გარდა პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში მიწოდებული მომსახურებისა) შესახებ ინფორმაცია EHR სისტემაში გადასცენ პაციენტის გაწერიდან/ამბულატორიული ვიზიტის დასრულებიდან 14 კალენდარული დღის, ხოლო პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებს - 1 თვის ვადაში (ნაცვლად არსებული 5 სამუშაო დღისა).

ზემოაღნიშნული მიდგომები, ვფიქრობთ, არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ელექტრონული ჩანაწერების (EHR) ეფექტური სისტემის დანერგვისა და ამოქმედებისათვის.

ამასთან, ვინაიდან 2019 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემის ამბულატორიული მოდული, მართებულად მიგვაჩნია, ის გავრცელდეს სტაციონარის პირობებში განხორციელებულ ამბულატორიულ შემთხვევებზეც (სახელმწიფო პროგრამებში ჩართული სტაციონარული დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით, ბრძანების არსებული რედაქციის თანახმად, სტაციონარულ დაწესებულებებს აქვთ ვალდებულება, ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში ინფორმაცია გადასცენ

მხოლოდ სახელმწიფო პროგრამით იმ მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მკურნალობას გადიან სტაციონარულ რეჟიმში).

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მომზადდა „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 იანვრის N01-1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას, 2019 წლის 1 სექტემბრიდან, ამბულატორიული დაწესებულებებისთვის (EHR) სისტემის საპილოტე რეჟიმში ამოქმედების თაობაზე.

თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს შემდგომი ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია